საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 574 2017 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

„დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 23 მარტის №137 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 23 მარტის №137 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 24/03/2017, 270180000.10.003.019846) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული №1 დანართის (დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების პროგრამა) მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრება 496 000 (ოთხას ოთხმოცდათექვსმეტი ათასი) ლარით.“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი